მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი 2018 - აფრიკა

უერე უერე ლიქინგი, კოტ-დ'ივუარი

მულტიდისციპლინალური ხელოვანი

ერთ დღეს,

ადამიანი გადაწყვეტს თავის თავს დაუსვას კითხვები სარკის წინ /მაყურებელი/,

რომ გამოიგონოს პასუხები თავისივე თავისთვის, იგივე სარკის წინ /თავისი მაყურებელი/,

რომ გააკრიტიკოს საკუთარი თავი, მასხრად აიგდოს საკუთარი კითხვები და პასუხები,

რომ იცინოს და იტიროს, მაგრამ ბოლოს, ყველაფრისდა მიუხედავად მიესალმოს და დალოცოს თავისი სარკე /თავისი მაყურებელი/,

იმისთვის, რომ საშუალება მისცა სიბრაზის გამოვლენისა და სულის მოთქმის,

იგი თავს უხრის და ესალმება მას, რათა აჩვენოს მადლიერება და პატივისცემა...

სადღაც სიღრმეში, ის მშვიდობას ეძებს,

მშვიდობას საკუთარ თავთან და სარკესთან,

ის თამაშობდა …

ამ დღეს, იგი საუბრობდა...

კიცხავდა თავის ნაკლოვანებებს, თავის პარადოქსებსა და სიმახინჯეებს,

აძრწუნებდა საკუთარ თავს მიმიკისა და პლასტიკის საშუალებით,

მისი სულმდაბლობა, რამაც დააზიანა მისი ჰუმანურობა,

მისი ხრიკები, რამაც კატაკლიზმებამდე მიიყვანა,

ის საკუთარ თავს ესაუბრებოდა...

იგი აღტაცებაში მოჰყავდა საკუთარ აფეთქებებს,

საკუთარ მისწრაფებას სიდიადისა და სილამაზისკენ,

უკეთესი ყოფა, უკეთესი მსოფლიო,

რასაც ააშენებდა თავის ფიქრებში,

რასაც საკუთარი ხელით გამოჭედავდა,

თუ ისინი, ორივენი, ამას მოინდომებდნენ,

სარკის ორივე მხარეს,

მაგრამ მან იცის: ეს გამასხარავებაა, ეჭვგარეშეა, ილუზიაა,

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გონებრივი მოქმედებაა, მშენებლობა, მსოფლიოს ხელახლა შექმნა,

ის თამაშობდა …

თუნდაც ყველა იმედი დაღუპულიყო,

თავისი სიტყვებითა და ჟესტებით,

მას სჯეროდა,

რომ ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი, ამ ერთ საღამოს.

მისი დაჟინებული მზერით,

ტკბილი სიტყვებით,

ცელქი ღიმილით,

საუცხოო იუმორით,

სიტყვებით, რომლითაც სასწაულებრივადაა შესაძლებელი გადარჩენა

ტკივილისა და სულიერი როკვის დროსაც კი ..

დიახ, ის თამაშობდა.

და ზოგადად,

ჩემს მშობლიურ მხარეში - აფრიკაში,

განსაკუთრებით კი კამიტის მხარეში, საიდანაც მე ვარ,

ჩვენ არაფერზე არ ვდარდობთ,

ჩვენ ვიცინით თანაბრად, გლოვისა და ტირილის დროს,

ჩვენ ვროკავთ მიწაზე, როდესაც იგი იმედებს გვიცრუებს,

ტრადიციული ცეკვა ბეტეს საშუალებით,

შემზარავი ნიღბები /Glaé, Wabele or Poniugo/ შექმნილია იმისთვის,

რომ გამოხატონ მტკიცე პრინციპები /საწყისები/,

ვინც თავს გვახვევს ციკლებს და დროს,

და მარიონეტები, რომლებიც ჩვენს მსგავსად

საბოლოოდ ემსგავსებიან, თავიანთ შემქმნელს.

და თავისი მანიპულატორების დამორჩილებით,

ქმნიან რიტუალებს, სადაც გამოთქმულ სიტყვასთან ერთად,

თანაარსებობს რიტმული სიმღერები და სუნთქვა,

ტრანსის მსგავსი პროვოკაციული ცეკვები

მაგიური ფორმულებით მოუწოდებს ერთგულებისკენ.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა, იცინე ბევრი,

ცხოვრების სიხარულის აღსანიშნავად,

რომ არც საუკუნოვანმა მონობამ და კოლონიზაციამ,

რასიზმმა და დისკრიმინაციამ,

და არც მარადისობად ქცეულმა საშინელებებმა,

შესძლოს შენი ჩაქრობა და ტანჯვა.

ჩვენი სამშობლოს მამობრივი სული კაცობრიობის დედაა;

აფრიკაში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა მხარეში,

ჩვენ ვთამაშობთ.

და თეატრის ინსტიტუტის ამ განსაკუთრებულ წელს,

მე განსაკუთრებით ბედნიერი ვარ,

რომ წარმოვადგენ ჩემს კონტინენტს,

მომაქვს მშვიდობის გზავნილი თქვენთან,

თეატრის მშვიდობიანი გზავნილი;

იმიტომ რომ ამ კონტინენტზე, ითქვა არც ისე დიდი ხნის წინ,

რომ მსოფლიოში არაფერი ხდება,

ოდნავი უკმარისობის განცდის გარეშე,

რაც ასახულია საწყისებთან დაბრუნებაში,

და მთელი მსოფლიოც აქეთკენ მიდის,

რადგან ყველა, ყოველთვის, იმედოვნებს მშვიდობის პოვნას

საკუთარი მშობლების მკლავებში, ასე არ არის?

და როგორც ასეთი, დღეს ჩვენი თეატრი ისე როგორც არასდროს,

იწვევს ყველა ადამიანს, განსაკუთრებით მათ, ვინც იზიარებს

საერთო აზრს, საერთო მსოფლიოსა და თეატრალურ ქმედებას,

რომლებსაც აქვთ უფრო მეტი პატივისცემა ერთმანეთისა და საკუთარი თავის მიმართ,

საუკეთესო ჰუმანისტური ღირებულებების გაზიარებით,

კაცობრიობისთვის უფრო ჰუმანური მომავლის იმედით,

ისინი, ვინც ავლენენ ინტელექტს და ურთიერთგაგებას.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ეფექტური კულტურა,

რომელიც შლის ყველა საზღვარს - გახლავთ თეატრი.

ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური, რადგან იგი საუბრობს ყველა ენაზე,

მოიცავს ყველა ცივილიზაციას, ასახავს იდეალებს,

და გამოხატავს ღრმა ერთობას იმ ადამაინებისა,

რომლებიც მიუხედავად ყველა დაპირისპირებისა,

არიან დაინტერესებულნი ერთმანეთის უკეთ შეცნობაში

და საკუთარი თავის სიყვარულში, მშვიდობასა და სიმშვიდეში.

როდესაც გამოხატვის ფორმა ხდება თანამონაწილეობა,

რაც გვახსენებს ჩვენს მოვალეობას - მოქმედებას!

თეატრის ძალა, რომელიც ყველას ერთად აცინებს და ატირებს,

და ამით ამცირებს მათ არცოდნას და ზრდის მათ ცოდნას.

ასე რომ, ადამიანი კვლავ ხდება უდიდესი სიმდიდრის მქონე სულიერი.

ჩვენი თეატრი, გთავაზობთ ხელახლა შეისწავლოთ და ფუნდამენტურად გადავაფასოთ,

ყველა ისჰუმანისტური პრინციპები, ყველა ის მაღალი ღირსებები,

ყველა იდეა ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობაზე,

რაც ასე ძალიანაა მხარდაჭერილი იუნესკოს მიერ.

რომ გარდავქმნათ ეს იდეები იმ სცენებში, რასაც ჩვენ დღეს ვქმნით,

რომ ეს იდეები და პრინციპები გახდეს სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროება

და ეს პირველ რიგში ეხება თეატრის შემქმნელებს,

მათ ვისაც უკეთ შეუძლიათ მიიტანონ ეს იდეები მაყურებლამდე.

სწორედ ამიტომ, ჩვენი უახლესი თეატრალური პროდუქტი დასათაურებულია როგორც -

« L'Arbre Dieu », რომელიც იმეორებს Bassa-ს ქვეყნის მატრიარქალური კულტურის, რელიგიური სისტემის უძველეს ცოდნას, ჩვენი ოსტატი ამბობს:

„ღმერთი არის დიდი ხის მსგავსი, რომელიც აღიქმება მხოლოდ ერთი ასპექტიდან,

იმ კუთხიდან საიდანაც ჩვენ მას დავინახავთ.

ვინც კი ამ ხეს გადაუფრენს, მხოლოდ ფოთლების აღქმას შესძლებს,

და კიდევ შესაძლოა ხილი და სეზონური ყვავილებიც დაინახოს.

ხოლო ვინც უფრო ღრმად ჩაიხედავს, მიწისქვეშ, უფრო მეტს გაიგებს მის ფესვებზე,

და ამ მისწრაფებას თავად ხეც ამოიცნობს, იგრძნობს ზურგით.

ხოლო ის, ვინც ყველა ძირითადი წერტილიდან შეხედავს მას, დაინახავს იმ ასპექტებს, რაზეც სხვას ხელი არ მიუწვდება,

მხოლოდ ზოგიერთი, პრივილეგირებული, შეიცნობს ხის ქერქს შორის არსებულ საიდუმლოს, ხის არსის დაფარულ მეცნიერებას.

მაგრამ როგორი ზედაპირული ან ღრმაც არ უნდა იყოს მათი აღქმა,

ვერავინ მოექცევა იმ ერთ კუთხეში, საიდანაც ამ ყველაფრის

ერთიანად შეცნობა იქნება შესაძლებელი,

სანამ შენ თავად არ გახდები ეს ღვთაებრივი ხე,

მაგრამ ამის შემდეგ, ჩვენ ისევ ადამიანებად დავრჩებით?

მსოფლიოს ყველა თეატრი იქნება შემწყნარებლური ერთმანეთის მიმართ,

იმისათვის რომ უკეთ ემსახურონ თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის გლობალურ მიზნებს,

იმისათვის, რომ საბოლოოდ, ინსტიტუტის 70 წლის იუბილეზე

მსოფლიოში იყოს მეტი მშვიდობა, თეატრის ძლიერი თანამონაწილეობით.

Translation Ana Kvinikadze

Biography/ უერე უერე ლიქინგი, კოტ-დ'ივუარი

მულტიდისციპლინალური ხელოვანი

უერე უერე ლიქინგი დაიბადა 1950 წლის 1 მაისს, ბონდეში, კამერუნი. 1978 წლიდან ცხოვრობს კოტ-დ'ივუარში. არის მულტიდისციპლინალური ხელოვანი. მისი სახელით გამოცემულია ოცდაათამდე წიგნი: ნოველები, პიესები, ესეები, სახელოვნებო წიგნები და პოეზია. 1986 წლიდან, იმ დროიდან როდესაც პირველად აიღო ფუნჯი ხელში, მართავს გამოფენებს მსოფლიო მასშტაბით.

რაც შეეხება თეატრს, გარდა იმისა რომ იგი არის აღიარებული დრამატურგი, ასევე მუშაობს თოჯინების თეატრში და ამ მხრივ დიდი მიღწევებია ქვს, როგორც ნოვატორს. მან, როგორც თეატრის რეჟისორმა დადგა თეატრალური წარმოდგენები, ცნობილი როგორც აფრიკული ოპერები, რამაც მოიარა მსოფლიოს არაერთი ქვეყანა. იგი თამაშობდა როგორც სცენაზე, ასევე კინოში, გახლავთ რეპის შემსრულებელი.

1979-1985 წლებში, როგორც ტრადიციული პედაგოგიური ტექნიკის მკვლევარმა, აბიჯანის უნივერსიტეტში მონაწილეობა მიიღო რიტუალური თეატრის რევოლუციაში, რაც ინიცირებული იყო შემოქმედებითი ჯგუფის Ki-Yi Mbock მიერ.

მან შექმნა სპეციალური სასწავლო სისტემა, რაც ინსპირირებული იყო აფრიკული ინიციაციებისგან. ამ ყველაფერმა მას პრინც კლაუს ჯილდო - „ქალაქის გმირი" მოუტანა, 2000 წელს. ამის შემდეგ, მან დააფუძნა პან-აფრიკული ფონდი - Ki-Yi, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში შემოქმედობითობის ზრდას და პიროვნულ განვითარებას. არის მრავალი ჯილდოს მფლობელი.

იგი დღეს მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი წევრია, აფრიკის და აფრიკული დიასპორების ხელოვნებისა და კულტურის სფეროში, კოტ-დ'ივუარში.